შპს „დაიმონდ პროჯექტს“
ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2023 წლის 31 დეკემბერს

<u>სარჩევი</u>

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

სრული შემოსავლის ანგარიშგება 4

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 5

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 6

განმარტებითი შენიშვნები **7-13**

შპს „დაიმონდ პროჯექტს“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

	შენიშვნა	2023	2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	593,725	831,726
საინვესტიციო ქონება		58,677	169,383
მონაწილეობა სხვა საწარმოში		1,494,477	1,166,977
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,146,879**	**2,168,086**
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	38,853	944,231
სავაჭრო მოთხოვნები	8	134,683	199,400
გადახდილი ავანსები	8	26,276	10,058
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		2,847,489	4,741,418
სხვა მიმდინარე აქტივები	8	162,274	115,413
სულ მიმდინარე აქტივები		**3,209,574**	**6,010,520**
სულ აქტივები		**5,356,453**	**8,178,606**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		2,679,620	2,872,506
სულ საკუთარი კაპიტალი		**2,679,720**	**2,872,606**
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		4,605	101,366
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		300,000	1,435,879
სხვა ვალდებულებები		2,372,128	3,768,755
სულ ვალდებულებები		**2,676,733**	**5,306,000**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**5,356,453**	**8,178,606**

დირექტორი:
ბუღალტერი:

7-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანასური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დაიმონდ პროჯექტს“
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	შენიშვნა	**2023**	**2022**
შემოსავალი რეალიზაციიდან	**9**	2,727,532	9,330,737
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**9**	(2,534,116)	(4,277,798)
საერთო მოგება		**193,416**	**5,052,939**
სხვა საოპერაციო შემოსავლები		391,321	1,298
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(631,890)	(1,054,697)
ფინანსური შემოსავალი		3,986	15,225
საოპერაციო მოგება		**(43,167)**	**4,014,765**
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)		(120,086)	(6,502)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(29,633)	(512,242)
მოგება დაბეგვრამდე		**(192,886)**	**3,496,021**
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		**(192,886)**	**3,496,021**
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**(192,886)**	**3,496,021**

დირექტორი:

ბუღალტერი:

7-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანასური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

„დაიმონდ პროჯექტს“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

	2023	2022
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	3,537,658	10,333,779
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(748,639)	(1,640,335)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	(1,024,567)	(1,598,370)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**1,764,452**	**7,095,074**
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა ინვესტიციის სახით	(327,500)	(405,000)
სესხის პროცენტის მიღება	3,986	15,225
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(323,514)**	**(389,775)**
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	300,000	-
სესხის ძირის გადახდა	(1,435,879)	(4,801,239)
სესხის პროცენტის გადახდა	(1,210,438)	(1,849,537)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**(2,346,317)**	**(6,650,776)**
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	**(905,379)**	**54,523**
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	944,232	889,709
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	**38,853**	**944,232**

დირექტორი:

ბუღალტერი:

7-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანასური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დაიმონდ პროჯექტს“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი -31.12.2021წ.	**100**	**(623,515)**	**(623,415)**
2022 წლის წმინდა მოგება /(ზარალი)		3,496,021	3,496,021
ნაშთი - 31.12.2022 წ.	**100**	**2,872,506**	**2,872,606**
2023 წლის წმინდა მოგება/ (ზარალი)		(192,886)	(192,886)
ნაშთი - 31.12.2023 წ.	**100**	**2,679,620**	**2,679,720**

დირექტორი:

ბუღალტერი:

7-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანასური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „დაიმონდ პროჯექტს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

1. **ზოგადი ინფორმაცია**

შპს "დაიმონდ პროჯექტს" დაფუძნდა 2011 წლის 27 ივლისს საქართველოს კანონდმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის შესაბამისი წილის მმართველები არიან :

-პინჰას ოლშვიტსკი, /ისრაელი/ 12.5%;
-იეჰუდა ბენ სიმონ, /ისრაელი/ 35%

-აბრაჰამ ოლშევიტსკი, /ისრაელი/40%
-ცვი ოლშევიტსკი, /ისრაელი/12.5%

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის უფლებამოსილი პირია: ცვი ოლშევიტსკი - დირექტორი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, მარაბდის ქუჩა, N33, ბინა N14

2. **მომზადების საფუძვლები**

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ მოამზადა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ის სტანდარტების) მიხედვით. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს მსს ფასს. ფინანსური ანაგრიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.
ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 15 აგვისტოს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ბ) ფინქციონირების უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები**. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **სასამართლო დავები.** კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მიმდინარე ვალდებულება წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადაცემა და მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი.

4. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება

ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას. მსს ფასს-ების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	**დოლარი**	**ევრო**
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	**დოლარი**	**ევრო**
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ისტორიულ ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთის თანხა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ დანახარჯს.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. საწარმო არ აღიარებს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში მისი ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს, ეს დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივის ცვეთის თანხა უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	**სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)**
შენობა -ნაგებობები	10
ოფისის სღჭურვილობა	5 - 8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 - 8
სხვა	4 - 5

ძირითადი საშუალებების შემოსვლისას ცვეთის გაანგარიშება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება შევიდა ექსპლუატაციაში, მას ცვეთა ერიცხება მისი აღიარების შეწყვეტამდე. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა (თუ ასეთი არსებობს) და მათ საბალანსო ღირებულებას შორის.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს

ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. გარდა ამისა კომპანია არ იხდის მოგების გადასახადს იმ შემთხვევაში, თუ ახორციელებს მოგების განაწილებას დივიდენდის სახით 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან. რის გამოც მოგების გადასახადის ხარჯი არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ვალდებულებები

ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც უნდა ანაზღაურდეს და წარმოშობილია მიღებული მომსახურებისა და შეძენილი საქონლისთვის.

ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია, ასახულია, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	**მიწის ნაკვეთები**	*შენობა*	*ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი*	*სულ*
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	**403,559**	**466,974**	**11,891**	**882,424**
შემოსვლა				-
გასვლა	(116,184)	(127,119)		**(243,303)**
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	**287,375**	**339,855**	**11,891**	**639,121**
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	-	**(42,700)**	**(7,998)**	**(50,698)**
ცვეთა 2023		6,285	(983)	5,302
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	-	**(36,415)**	**(8,981)**	**(45,396)**
საბალანსო ღირებულება				
საბალანსო ღირებულება 31.12. 2022	**403,559**	**424,274**	**3,893**	**831,726**
საბალანსო ღირებულება 31.12. 2023	**287,375**	**303,440**	**2,910**	**593,725**

7. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები გულისხმობს ფულს საბანკო ანგარიშებზე და დეპოზიტებს ბანკებში მოთხოვნამდე.

	2023	2022
ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	898	1 111
ფული საბანკო ანგარიშზე (დოლარი) ექვ. ლარში	144	402 895
ფული სადეპოზიტე ანგარიშზე	37,811	540 225
სულ	**38 853**	**544 231**

8. სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მიმდინარე აქტივები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	134 683	199,400
გადახდილი ავანსები	26 276	10,058
სხვა მიმდინარე აქტივები	162 274	115,413
სულ	**323 233**	**324 871**

9. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის მიერ ძირითადი საქმიანობიდანმიღებულმა შემოსავალმა 2023 წელს შეადგინა 2 727 532 ლარი , 2022 წელს- 9 329 299 ლარი

შემოსავალი	2023	2022
საქონლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი	2 727 532	9 329 299
მომსახურების მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი	-	1 438
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,534,116)	(4 277 798)
სულ	**193 416**	**5 052 939**

10. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდგენაირად:

	2023	2022
კომუნალური ხარჯი	4,088	2,934
ოფისის ხარჯი	256	3,044

აიტი მომსახურების ხარჯი	3,629	3,000
რეკლამის ხარჯი	3,989	10,931
მომსახურების ხარჯი	60,276	722,454
თარჯიმნის მომსახურების ღირებულება	668	542
იურიდიული და სანოტარო მომსახურების ხარჯი	229,480	4,278
საჯარო რეესტრის ხარჯი, ბაჟი	11,994	166
ბანკის მომსახურება	1,510	8,249
ცვეთა და ამორტიზაცია	11,496	13,843
დაზღვევა	6,906	10,033
კომუნიკაციის ხარჯები	2,498	2,786
სხვა საგადასახადო ხარჯი	10,043	-
საპენსიო ფონდის ხარჯი	2,592	3,424
შრომის ანაზღაურება	282,406	268,988
სხვა ხარჯი	61	25
	631,890	**1,054,697**

11. პოტენციური ვალდებულებები

ეკონომიკური განვითარების ტენდენციები საქართველოში

ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ მოიცავს ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებს, რაც გულისხმობს: არასათანადოდ განვითარებულ ბიზნესის ინფრასტრუქტურასა და საწარმოთა საქმიანობის რეგულირების ნორმატიულ ბაზას, ეროვნული ვალუტის შეზღუდულ კონვერტულობას, უცხოური ვალუტაში ოპერაციების განხორციელების შეზღუდვასა და ლიკვიდურობის დაბალ მაჩვენებელს კაპიტალის ბაზარზე. საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო და საფინანსო სისტემის დარეგულირებასთან დაკავშირებული რეფორმები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე არ აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას ექნებოდა სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები, მაშინ იგი სათანადოდ ასახავდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ ოპარაციებს, თუ ამ ოპარაციებს არსებითი გავლენია ექნებოდა კომპანიის ფიანსურ მდგომარეობაზე.

12. კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასში ასახული აქტივების თანხების რაიმე სახის კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ ექნებოდა მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რელიზაციას არა თავისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:
(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშნველოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია. დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დირექტორზე გაცემული ანაზღაურება

	2023	**2022**
შრომის ანაზღაურება მთლიანად	**107 600**	**10 500**

	ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023	**ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2022**
მიღებული სესხი დამფუძნებლისგან	300 000	1,435,879
სესხზე გადასახდელი პროცენტი	2 108 357	3,339,838
სულ	**2 408 357**	**4,775,717**